პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 იანვარი სამშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 6 (15827)

პარტია მოგვიწოდებს

5 განმსაზღვრელ წელს — დამკვრელური შრომა!

საქართველოს მშრომელები საქმით უპასუხებენ საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი

დავალება ჩვენთვის კანონია

თუ ხვალ დღევანდელზე უკეთ ვიმუშავებთ, გეგმებს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შევასრულებთ. აწყობილი და შეთანხმებული მუშაობა წლის პირველი დღეებიდანვე, დღის, თვისა და კვარტალის საგეგმო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კანონი უნდა გახდეს ყოველი კოლექტივისათვის, თვითეული მუშაკისათვის.

ამ სტატეებით დაიწყო თავისი გამოსვლა № 3 საამქროს ხარატმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ა. ხარიტონაშვილმა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელთა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

მიტინგი გახსნა და ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი მშრომელებს გააცნო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შარაბიძემ, სიტყვით გამოვიდნენ შრომის ორგანიზაციის ბიუროს უფროსი კ. ულენტი, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ი. კოტლიარენკო.

გამოსულებმა გამოხატეს მიტინგის მონაწილეთა საერთო აზრი, რომ პარტიის ეს მიმართვა დიდი სტიმულია შემდგომ მუშაობაში, მასში დასახულია ნათელი მომავლის გზები.

კიროველები პირნათლად შეხვდნენ ახალ წელიწადს. მათ უამაყებათ, რომ ვადაზე ადრე გაანაღდეს გადასული წლის გეგმა, დავალების გადამეტებით გამოუშვეს დიდძალი პროდუქცია. მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინეს შრომისა და შეჯიბრების ორგანიზაციაში, ინიციატივიანი, დამკვრელური მუშაობის ნამდვილი მაგალითი აჩვენეს.

საქმით უპასუხებს რა საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას, კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა მიტინგზე გალდებულება იკისრა პროდუქციის რეალიზაციის შემხვედრი გეგმა გაანაღდოს 1974 წლის 28 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი მანეთის სახალხო პროდუქცია, პროდუქციის მატების 80 პროცენტი მიიღოს შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე, ათვისოს 12 ახალი მოდელის ჩარხი, 1973 წელთან შედარებით 1.5-ჯერ გაადიდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება;

ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით დაზოგოს 90 ტონა ლითონი, 0,6 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 125 ტონა სათბობი; შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების განხორციელებით, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღოს 300 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია.

ყოველივე ეს ათასი რეზოლუციაში, რომელიც კიროველებმა ამ მიტინგზე ერთხმად მიიღეს. ეს ღმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც მათს წინაშე დგას მომდინარე ხუთწლედში.

გათუმელ მანქანათმშენებელთა ვალდებულება

ბათუმი, (საქინფორმის კორ.). ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. მიტინგი გახსნა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ჭიჭინაძემ. მან სიტყვა მისცა ქარხნის პარტბიუროს მდივანს შ. კაკაძეს, რომელმაც მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს გააცნო მიმართვა.

მიტინგზე გამოვიდნენ საამწყობო საამქროს ზეინკალი ა. დუბინინი, მექანიკური საამქროს მღარავი შ. გალოგრე, საგეგმო განყოფილების უფროსი ვ. მეტრეველი, ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ი. ოსიპენკო.

საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მანქანათმშენებლებმა იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ წარმოების მატებას 12,9 პროცენტით მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელ წლის გასულ წელთან შედარებით. ეს განმავლობაში გეგმის გადაჭარბებით წარმოებული იქნება 42 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, დაიზოგება 50 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად კი მიიღებენ 40 ათასი მანეთის მოგებას.

საკპ ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში ბათუმელი მანქანათმშენებლები საკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად საკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ერთსულოვნად აღუთქვამენ, რომ თავიანთი თავდადებული დამკვრელური შრომით ვადამდე შეასრულებენ 1974 წლის საგეგმო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

1975 წლის ანგარიშში

ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის პირველი დღეებია, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა კი. რომლის ხელმძღვანელია უშანგი გურგენიძე, 1975 წლის ხელტემბრის ანგარიშში შრომობს.

მოწინავე ბრიგადა ყოველთვის უსწრებს გრაფიკს. ამჟამად იგი ახალ შრომითს ხარჯარს უმზადებს თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციას, რომლის დელეგატად არჩეულია უშანგი გურგენიძე. იგი დაჯილდოებულია საკავშირო ნიშნით „1973 წელს ხოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“.

ხუთათზე: ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი უშანგი გურგენიძე.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ორი დღით ადრე

თბილისი. გრეხილი ავეჯის კომბინატის (ინჟინერ ნ. ...ძე) კოლექტივმა ხუთწლედის მეოთხე წელს წარსულებისათვის ერთ მეოთხედ ... ნეთის ... და ... სკამები, მეავეჯეებმა ეს დავალება 18 დეკემბრისათვის შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ ნახევარდრბილმა სკამმა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მოიპოვა. უკვე გამოშვებულია 550 ცალი.

საწარმოს კოლექტივმა ამ წარმატებას იმით მიაღწია, რომ გონივრულად მოაწყო შრომა.

მეავეჯეებმა კარგად დაიწყეს ხუთწლედის მეოთხე წელი. აქ ერთსულოვნად გადაწყვიტეს იანვარი გამოაცხადონ დამკვრელურ თვედ. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება შეასრულონ ორი დღით ადრე, დაზოგილი მასალებით მიუშაონ ერთი დღე. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 ათასი მანეთის პროდუქცია და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ განმსაზღვრელი წლის ვადამდე შესრულებას.

ახალი წლის პირველი დღიდანვე დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ნ. შარიქაძე და მ. მაღრაძე ხელმძღვანელობენ.

ახალი შემართება

ტყიბული. (საკ. კორ.). ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი დღეები ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნა ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა. 2 იანვარს საკოქსე ქვანახშირის მოპოვების დავალება გადაჭარბებით შესრულა. დაწინაურდა ი. დოლიძის უბანი, რომელმაც ამ დღეს გეგმის გადამეტებით 73 ტონა სათბობი ამოიღო. კარგად იშრომეს აგრეთვე მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 საექსპლოატაციო უბნებმა. ცვლებს შორის რეკორდი დაამყარა მე-4 უბნის პირველმა ცვლამ, რომელმაც დავალება 135,7 პროცენტით შეასრულა.

წარმატებით დაიწყო ახალი წელი ხტალინის სახელობის შახტმაც. გაწესაკუთრებით თავი იხახელა უბანმა, რომელსაც ლ. კორძაძე ხელმძღვანელობს. ამ შრომითმა კოლექტივმა ორ იანვარს დავალება 159,1 პროცენტით შეასრულა.

გავაღიდოთ მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტების ნარმოება

აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად იკისრეს

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის მეზნებარე ხიტყვებმა კოლმეურნეთა არნახულ შრომითი აქტივობა გამოიწვიეს. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისადმი მიძღვნილ მიტინგზე ტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა აღნიშნეს, რომ არ დაიშურებენ ძალ-ღონისა და ენერგიას, იმუშავებენ უფრო ნაყოფიერად, რათა საამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტები. გადავწყვიტეთ განვამტკიცოთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მოპოვებული წარმატებანი და საამშობლო გავახაროთ ახალი უხვი მოსავლით, ხორცის, რძის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებით.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ ბევრი რამ გააკეთა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ სიმინდის მარცვლის, ბარიხოროვნი ჩაის ფოთლის, ეფერზეთოვანი კულტურების ნედლეულის, ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მეურნეობის საქმიანობის ანალიზმა, გასული წლის შედეგებისადმი კრიტიკულმა მიდგომამ გვიჩვენეს, რომ ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს. მათი გამოყენება, აგრეთვე თვითეული ჩვენგანის ენერგიული მუშაობა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება დაგვეხმარება შევასრულოთ მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ვიკისრეთ.

გადაწყვეტილებთ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას. გადიდებულ ვალდებულებათა შესასრულებლად ვკისრულობთ ძირეულად გავაუმჯობესოთ პირუტყვის მოვლა და ზოოვეტერინარული ზედამხედველობა, შევქმნათ საკუთარი მტკიცე საკვები ბაზა. მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს ინტენსიური სუფევით მიიღწიონ იმას, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ყოველდღიური წონა-მატება 150 გრამით მეტი იყოს, ვიდრე წასული წლის თვითეულ დღეს. სახალხოფოსათვის მისაყიდი თვითეული სული პირუტყვის წონას გავადიდებთ — 250 კილოგრამამდე, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 70 კილოგრამით მეტია.

1973 წელს სახელმწიფოს მიეყიდეთ პირუტყვი, რომლის 60 პროცენტი იყო საშუალო ნაკვებობისა, ხოლო 35 პროცენტი — ხაშუალოზე დაბალი. ახლა გადავწყვიტეთ სახელმწიფოს მივყიდოთ მხოლოდ უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის პირუტყვი.

გავადიდებთ წველადობასაც: საშუალოდ ძროხაზე მივიღებთ 2.400 კილოგრამ რძეს, ათასი კილ პრამით მეტს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

გარდა სხვა სამუშაოებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ ნაკვების წარმოების გადიდებას, შევქმნით კულტურულ სარწყავ ხაძოვარს 50 მექტარ ფართობზე.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ჩვენმა მემინდვრეებმაც. მესიმინდეებმა ვალდებულება იკისრეს 221 კენტარ ფართობზე საშუალოდ მიიღონ 45 ცენტნერი მარცვლეული. მაშინ როცა გეგმა 26 ცენტნერს ითვალისწინებს.

აღუთქვამთ შშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ვიშრომებთ უფრო თავდადებით, გარკვეული ენერგიით და უოუოდ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს.

საკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი — საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა, ინჟინრები, ტექნიკოსები და კონსტრუქტორები, ინდუსტრიის ყველა მუშაკი კვლავაც იქნებიან დასახული გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, კონკრეტულ საქმეებში შეასხამენ ხორცს თავიანთ ძალებს, ცოდნას, გამოცდილებას და კვლავ, როგორც ყოველთვის, გვიჩვენებენ მაღალი შეგნებულობის, ორგანიზებულობისა და საქმიანობის მაგალითს.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

საკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები განამტკიცებენ მიღწეულ წარმატებებს და 1974 წელს სამშობლოს გაახარებენ კარგი მოსავლით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებით; უმეტესი ეფექტიანობით გამოიყენებენ თვითეულ ჰექტარ მიწას, თვითეულ მანქანას, თვითეულ ცენტნერ საკვებს, თვითეულ ტონა სასუქებს, მუშათა კლასთან ერთად გადადგამენ ახალ ნაბიჯს სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გზაზე.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

საკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას. რომ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო მეტი ენერგიით, გულმოდგინედ განავითარებს მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას. მიაღწევს მეცნიერულ სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა უსწრაფეს დანერგვას. შექმნის სულიერ ღირებულებებს, რომლებიც ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

სკკპ ცკ-ის მიმართვიდან.

ვიყოთ პარტიის აქტიური თანაშემწენი

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ“.

საბჭოეთის ქვეყნის კომკავშრელები, ქალიშვილები და ჭაბუკები, ნათქვამია დადგენილებაში, მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. დიდად აფასებენ ჩვენი ლენინური პარტიის, საკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს წვლილს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეში.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკპ ცენტრალური პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების ალკა ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიურად გამალონ ფართო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში, პარტიის გულითადი, შთამაგონებელი სიტყვები გააცნონ თვითეულ კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს. 1974 წლის 8-12 იანვარს გაიმართოს სრულიად საკავშირო კომკავშირული კრება „დამკვრელური შრომითა და ჩინებული სწავლით აღვნიშნოთ ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი“. კრებაზე განხილულ უნდა იქნას თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები საკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის დოკუმენტების, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საიუბილეო მოხსენების, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის მიხედვით.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ კომკავშირული ორგანიზაციები საკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას აღიქვამენ როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამას, როგორც თავიანთ მშობლიურ, ღვიძლ საქმეს, უნარიანად უმეთაურებენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებას ლოზუნგით — მიეცით მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, დაუცხრომლად სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას, გახდებიან პარტიულ ორგანიზაციათა უფრო აქტიური თანაშემწენი, ღირსეულად შეხვდებიან სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობას და კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან შშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, გაამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას კომუნიზმისათვის. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. 1974 წლის თვითეულ დღეს, თვითეულ საათს აღნიშნავენ თავდადებული, გმირული შრომით, ლენინურად ისწავლიან, იმეშაკვენენ და იბრძოლებენ. (საკდესი).

საბჭოთა კავშირში ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურის გენერალ ი. ოგუნის ოფიციალური ვიზიტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიწვეული ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი იაკუბუ გოუონი საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა 1974 წლის მაისში.

(საკდესი).

ამხანაგი ა. ა. გრეჩკო თათრეთის ასს რესპუბლიკაში

ყაზანი. 7 იანვარი. (საკდესი). დღეს თათრეთის ასს რესპუბლიკაში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

იმავე დღეს ა. ა. გრეჩკო შეხვდა თათრეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილე

ირაკლი ლავრენტის-ძე ვეკუა

და ხამძღვარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პარტიული კონფერენციები

გაიმართა ტყვარჩელის, ცხინვალის, ფოთის, ქუიბულის საქალაქო, გუდაუთის, კასპის, ლენინგორის, ყაზბეგის რაიონული პარტიული კონფერენციები. ამ კონფერენციებმა განიხილეს საანგარიშო მოხსენებები პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და თავიანთი პარტორგანიზაციების სარევიზიო კომისიების მუშაობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს: ტყვარჩელის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა თ. გ. ფიოდოროვამ, ცხინვალის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ხ. სანაკოევმა, ფოთის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პაპარიძემ, ქუიბულის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაძპორიამ, გუდაუთის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. პ. სამპარელიძემ, კასპის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგემ ი. ფ. ქაჯაიამ, ლენინგორის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ა. პატეიშვილმა, ყაზბეგის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ რ. ხ. კონცელიძემ.

გაიმართა ახალარჩეული პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი პლენუმები.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია შ. მ. შაკაია, მეორე მდივნად — ნ. დ. მიხეიჩენკო, მდივნად — ნ. ი. ხარბედია.

პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია უ. ბ. სანაკოევი, მეორე მდივნად — რ. დ. ნიკურაძე, მდივნად — თ. შ. კაბულოვა.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ნ. ა. ლაკია, მეორე მდივნად — გ. თ. არჩაია, მდივნად — ვ. ა. გუნია.

პარტიის ქუიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ჯ. ვ. ბოცირიძე, მეორე მდივნად — გ. ე. ცნობილაძე, მდივნად — ბ. ხ. ორჯონიკიძე.

პარტიის გუდაუთის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ზ. ხ. აპიძბა, მეორე მდივნად — კ. ი. ღურწკაია, მდივნად — ვ. კ. აიბა.

პარტიის კასპის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ლ. მ. ისაკაძე, მეორე მდივნად — ვ. ი. ეპიტაშვილი, მდივნად — მ. ხ. ზარასაბაშვილი.

პარტიის ლენინგორის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ნ. ა. ოდიშვილი, მეორე მდივნად — ვ. დ. ჩიტიშვილი, მდივნად — მ. ზ. ხუბაევა.

პარტიის ყაზბეგის რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ე. გ. აბაკაბიძე, მეორე მდივნად — ზ. ბ. აბსაჯანიშვილი, მდივნად — თ. ი. ღუდუშაური. (საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პლენუმი, რომელზეც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნისა და რაიკომის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ნ. ლ. კოხრეიძე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ნ. დ. რუხაძე. (საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პლენუმი, რომელზეც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა შ. ა. კოხოძე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ა. კ. ჩარქსელიანი. (საქინფორმი).

მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილობისაგან გაათავისუფლა რ. ბ. ჭარჩხაძე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სესიამ მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია შ. ა. კოხოძე. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პრაღას გაემგზავრა

6 იანვარს მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლთა თათბირში, რომელზეც უნდა განიხილოს ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას“ მუშაობა.

დელეგაციაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას“ შეფ-რედაქტორი კ. ი. ზაროდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ლ. ნ. ტოლკუნოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ა. ს. ჩერნიაევი.

გამცილებელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. გოლეკი.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პრაღაში ჩავიდა. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებად

ჩამოერთვათ ლატიფუნდისტებს

მეხიკო, 7 იანვარი. (საქდესი). უმიწაწყლო გლეხებს გადასცეს დაახლოებით 10 ათასი ჰექტარი მიწები, რომლებიც მსხვილ ლატიფუნდისტებს ჩამოართვეს მექსიკის ვერაკრუსის შტატში. მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოვიდნენ მიწების გადაცემის საზეიმო ცერემონიისადმი მიძღვნილ მიტინგზე, გადაჭრით დაგმეს ლატიფუნდისტთა გარკვეული ნაწილის ცდები ხელი შეუშალონ ქვეყანაში აგრარული რეფორმის განხორციელებას.

სიჩქარის შემცირების შედეგად

ვენა, 7 იანვარი. (საქდესი). ენერგეტიკული კრიზისის შედეგებთან დაკავშირებით ავსტრიაში შემოღებულია საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, რამაც შეამცირა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. 1972 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ასეთ შემთხვევათა რიცხვი შემცირდა 17 პროცენტით, ქვეყნის გზებზე დაშავებულთა და დაღუპულთა რიცხვი კი 25 პროცენტით.

მილიარდი დოლარი ზარალი

ვაშინგტონი, 7 იანვარი. (საქდესი). 1973 წელს შეერთებულ შტატებში მოხდა 46 სტიქიური უბედურება, რომელთა შედეგად დაზარალდა ქვეყნის 31 შტატი. სტიქიით გამოწვეული მატერიალური ზარალი 1,2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

იენის კურსი დაეცა

ტოკიო, 7 იანვარი. (საქდესი). დღეს დილით ტოკიოს საფონდო ბირჟაზე 7 პროცენტით დაეცა იაპონური იენის კურსი ამერიკული დოლარის მიმართ იმის გამო, რომ იაპონიის ბანკმა უარი თქვა იაპონიის ფუნამდი ეროვნულის ოფიციალური პარიტეტის მხარდაჭერაზე. იენზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა დოლარი ჯერ კიდევ წინა პარასკევიდან, როცა იაპონიის ბანკი იძულებული იყო შეეხედა ამერიკული დოლარის დიდი თანხა იენზე ზეგავლენის შესუსტების მიზნით.

მსოფლიო დღეს

საქდესი და უცხოეთის კრესის საქკორესპონდენტები იტყობინებიან

თავისუფლებას ლუის კორვალანს!

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხიდან მოდის წერილები, დეპეშები, რეზოლუციები საზოგადო მოღვაწეებისაგან, სხვადასხვა მასობრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ: თავისუფლება ლუის კორვალანს! შეწყდეს ჩილელი პატრიოტებისა და დემოკრატების სასტიკი დევნა და ულტა!

ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლ. კორვალანი ფაშისტურ რეაქციას სძულს, როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ჩილელ მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

ყველა, ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალები, ამ დღეებში ჟულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობს თუ რა შემზარავი კატორღული პირობებია დასმენზე მაგალითის სრუტის „სიკვდილის კუნძულზე“, სადაც ლ. კორვალანთან ერთად პატიმრობაში იტანჯება ბევრი გამოჩენილი ჩილელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ისინი სამარცხვინო ბოროტ აკრავენ იმათ, ვინც ქვეყანაში შეჭმნა საკონცენტრაციო ბანაკების მთელი სისტემა და ყოველდღიურ ტერორს მიმართავს მოსახლეობის წინააღმდეგ.

ჩილეში, ნათქვამია ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფკავშირის განცხადებაში, ვრცელდება უაღრესად ბარბაროსული დანაშაულობანი, როგორც ხდებოდა ჰიტლერის დროს.

იმ დროს, როცა ძლიერდება საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობა ჩილელი ხალხისადმი, რომელიც იბრძვის ფართო მასშტაბის დაპატიმრებების, წამებისა და დახვრეტების წინააღმდეგ, ელემენტარული უფლებებისა და თავისუფლებისათვის, განსაკუთრებით თვალში საცემია დასავლეთის გარკვეული წრეების ანაფორიანი თვალთმაქცობა. დასავლეთის ბურჟუაზიული პრესის ბევრმა ორგანომ, რომლებსაც ასე უყვართ დემოკრატიისადმი ერთგულების რეკლამირება, მალე „დაკარგეს ინტერესი“ ჩილეს ტრაგედიისადმი. ისინი ან შეგნებულად აფუჩეჩებენ იმას, რაც ჩილეში ხდება, ან ცდილობენ როგორმე გაამართლონ ისინი, ვინც მკაცრი ტერორი გაანაღა ან აქებენდა მას ამ ქვეყანაში.

მთელი დემოკრატიული, პროგრესული ძალები, უფარფოსი საერთაშორისო საზოგადოებრიობა მოითხოვენ გაათავისუფლონ ლუის კორვალანი, ბოლო მოუღონ სამხედრო ხუნტის სისასტიკისმღვრელ ბოროტმოქმედებას ჩილეში. (საქდესი).

ფაქტი კომენტარით

ცილისმნათებლის პოზიციიდან

ბონი, 7 იანვარი. (საქდესი). გაზეთმა „უნზერე ცაიტმა“ გამოაქვეყნა კომენტარი სოლუენციონის მორიგი ანტისაბჭოური წყენის გამო, რომელიც დასავლეთში გამოჩნდა. კომენტარში ნათქვამია: თავისი სოციალისტური სამშობლოს ცილისმწამებელს, სოლჟენიცინს დასავლეთის ანტისაბჭოურ და ანტიკომუნისტურ წრეებში ოქროს ფასი აქვს. რატომ? იგი თავის თავს ჰუმანისტსა და ქრისტიანს უწოდებს. მაგრამ მისი საქმიანობა სულ სხვას მოწმობს. ეს „ჰუმანისტი“ გამოვიდა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის დამცველად. ვიეტნამში ამერიკის აგრესიის დროს იგი ცილს სწამებდა ვიეტნამელ პატრიოტებს, დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგისთან სახაროვთან ერთად მან დასავლეთს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ შენელებას.

მეტად უცნაურად გამოიყურება ეს „ჰუმანური მწერალი“, რომელსაც სიტყვაც არ დაუძრავს პაბლო ნერუდას გარდაცვალებასთან, ჩილეში წიგნების დაწვასა და ფაშისტურ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად იგი ლაფს ასხამს თავის ქვეყანას და თავისი სამშობლოს მტრებს ხელს.

რეაქციული კალები აქტიურდებიან

ახალი შეჯლუდვები

ზამთარში — „ზაფხულის დრო“

ვაშინგტონი, 7 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩერნიშოვი იუწყება:

ამერიკელთა ცხოვრებამ ერთი საათით წინ გადაიწია. ენერგიის ეკონომიის მიზნით, თანახმად ახალი კანონისა, 6 იანვრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებულია მთელი წლის განმავლობაში „ზაფხულის დრო“, ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ, „დღის სინათლის მომჭირნეობის დრო“, და საათის ისარი გადაწეულია ერთი საათით წინ.

ჩვეულებრივ „ზაფხულის დრო“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს აპრილის ბოლოდან ოქტომბრის ბოლომდე. მთელი წლის განმავლობაში კი ამერიკელები „სინათლის მომჭირნეობას“ ეწევოდნენ მეორე მსოფლიოს ომის დროს.

ახალ წესებს ჰყავს მომხრეებიც, მოწინააღმდეგეებიც. პირველნი ამტკიცებენ, რომ დროის ადრე დაწყება და დამთავრება საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ ელექტროენერგია საღამოს, როცა მას განსაკუთრებით ინტენსიურად ვხმარობთ. თეთრი სახლის გაანგარიშებთან, ეს ელექტროენერგიის მოთხოვნას შემცირებს დაახლოებით 3 პროცენტით, რაც 0,5 მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტურია ყოველწლიურად. ამ ღონისძიების მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ წარმოიშობა უხერხულობა, განსაკუთრებით ტრანსპორტისათვის.

მატულობს ღარიბთა რიცხვი

ვაშინგტონი, 7 იანვარი. (საქდესი). წლითიწლობით მატულობს ღარიბ ამერიკელთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი ოფიციალურად დადგენილ „სიღატაკის ზღვარზე“ ნაკლებია. ამას მოწმობს, კერძოდ, ღატაკთა არმიის რიცხვის გადიდება, რომლებიც ყიდულობენ მთავრობის მიერ გამოშვებულ ეკრეთ წოდებულ „სასურსათო მარკებს“ რაც უფლებას აძლევს მათ რამდენადმე იაფად იყიდონ სურსათ-სანოვაგე. ეს მარკები — თავისებური საზოგადოებრივი მოწყალება — უნაწილდება ოჯახებს, რომლებსაც არ ჰყოფნით სახსრები კვებისათვის.

წელს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროგრამაზე, ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც „სასურსათო მარკებზე“ მათი უფლების დამადასტურებელ დამამცირებელ პროცედურებს უნდა დაემორჩილონ, შარშანდელთან შედარებით დაახლოებით 20 მილიონით გაიზრდება და 50 მილიონს მიაღწევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ, აღწერის ბიუროს მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ 1974 წლის 1 იანვრისათვის 211,7 მილიონი შეადგინა, ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ყოველი მეოთხე ამერიკელი იძულებული იქნება მიმართოს დახმარების ამ ფორმას.



ფოტოეტიუდი

სოციალიზმის ქვეყნებში

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი ძალით გაჩაღდა მოსავლის აღება. ნიი-ზე მეტმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მთლიანად შეასრულა სახელმწიფოსათვის ახალი მოსავლის ბრინჯის მიყიდვის გეგმა.

სურათზე: ბრინჯის აღება ნამხის პროვინციაში.

ვია-საქდესის ფოტო.

სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ჩზამზე ავტომანქანების რიცხვის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მათი ტექნიკური მომსახურების არსებული ქსელის ზომდგომი გაფართოება. ამ მიზნით ქალაქ ნიმბურაქში გაიხსნა პირველი სადღეღამისო თვითმომსახურების ბენზინის ჩასასხმელი სადგური (სურათზე ზემოთ). მოთავალში ასეთი სადგურების რიცხვი საბრძნოლად გაიზრდება.

ჩეკ-საქდესის ფოტო.

„უოტერგეიტი“ პარიზულად

პარიზში იფეთქა ორმა დიდმა პოლიტიკურმა სკანდალმა, რომლებიც დაკავშირებულია ჟურნალისტთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა საუბრების ფარულ მოსმენასთან. დეკემბრის ერთ-ერთ ღამეს სატირული „კანარ ანშენეს“ თანამშრომელმა ამხილა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საიდუმლო მიკროფონებს აყენებდა“ რედაქციის ახალ შენობაში. „მათთან, — თქვა მან, — რადიოკავშირი ჭქონდათ დამყარებული, ქუჩაში მყოფ პოლიციელებს“, როგორც ფრანს პრესის საგანგებო თეწყება, დეკემბერში საიდუმლო მიკროფონი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე პარლამენტის დეპუტატის, რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ჟან-ჟაკ სერვან-შრეიბერის კაბინეტში.

პარიზის ჟურნალისტურ წრეებში აღნიშნავენ, რომ „კანარ ანშენეს“ თავისი პუბლიკაციებით არაერთხელ გამოუწვევია მმართველი წრეების უკმაყოფილება. ანდრე ვიერმსერი „ლუმანიტეში“ წერს: „საიდუმლო მოსმენა საჭირო გახდა იმისათვის, რათა დაედგინათ ის პირები, რომლებიც ჟურნალისტებს ინფორმაციებს აწვდიან, და მიეღოთ ზომები მათ წინააღმდეგ“, „კანარ ანშენეს“ დირექციამ აღძრა სასამართლო საქმე და პოლიციას ბრალად დასდო „შენობის ხელყოფა და კერძო ადგილას წარმოთქმული სიტყვების მოსმენისა და ჩაწერის ცდა“.

მოდა ან ჯანმრთელობა?

ამას წინათ საფრანგეთში გაიმართა მედიკოსთა კონგრესი, რომელმაც ერთ-ერთ საკითხად განიხილა ის, თუ რა გავლენას ახდენს მოდა ჯანმრთელობაზე. ამბობენ, ლამაზი რომ იყო, ცოტა ტანჯვასაც უნდა გაუძლოო. ამ აზრს ბევრნი იზიარებენ, განსაკუთრებით ქალები, მაგრამ არც იმდენად უნდა გაგვტაცოს მოდამ, რომ მის გამო კაცი დაავადდეს.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ტანზე შემოტმასნილ პერანგში, როგორსაც ახლა ახალგაზრდები ატარებენ, ძალზე ჭირს სუნთქვა. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ათასნაირად დაგრეხვა უხდებათ ვიწრო ჯინსების ჩაცმის, აგრეთვე დაჯდომის დროს. ფრანგი ექიმების აზრით, ვიწრო ტანსაცმელი ასუსტებს, „ბორკავს“ ადამიანის ორგანოებს. ამის გამო სულ უფრო გახშირდა ზურგის დეფორმაციის, ხერხემლის გამრუდების შემთხვევები. არაღრმა სუნთქვის გამო ვითარდება ფილტვების ატროფია. ეგრეთწოდებული „ბაჭინინი“ ფეხსაცმლის შედეგად ვითარდება არტრიტი, აგრეთვე ფეხის სხვა სერიოზული ღაავადება.

ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ ხელი ავიღოთ ყოველგვარ მოდაზე? რა თქმა უნდა, არა, ამბობენ ფრანგი ექიმები, მაგრამ ყველაფერში საჭიროა გარკვეული ზომიერება.

„ბაძარცული“ ბახი

მოდურმა დასავლელმა კომპოზიტორმა ანერგისმა ამას წინათ ფრანგ მაყურებლებს გააცნო თავისი ახალი „ნაწარმოები“. მსმენელებმა „ნოვატორს“ პირველსავე კონცერტზე უსტვინეს, ვინაიდან მისი „ქმნილება“ სხვა არაფერი არ იყო, თუ არა დიდი გერმანელი კომპოზიტორის ი. ბახის ნაწარმოებებიდან ამოდებული ნაწყვეტების სინთეზი. ამასთან დაკავშირებით პარიზის ყოველკვირეულმა „ექსპრესმა“ გამოაქვეყნა სტატია: „ბაძარცული ბახი“, სადაც გამოთქმულია შიში პლაგიატის გაბშირებული შემთხვევების გამო.

„ამ უკანასკნელ ხანებში ხელოვნებაში მოდად იქცა, — ხაზს უსვამს „ექსპრესი“, — კლასიკოსთა ძარცვა. ეს წერილობანი ქურდობა კი არ არის ხან აქ, ხან იქ, არამედ ნამდვილი მეკობრეობაა, რომელმაც უდიდეს მასშტაბებს მიაღწია“.

სწრაფად ამოიწურა რა მოდერნისტული ხელოვნების შესაძლებლობანი, „ავანგარდისტებმა“ ხელი მიაჭყვეს გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებებისა და წარსულის მუსიკალური მემკვიდრეობის „გამომშიგვნის“. ამ პლაგიატებმა დასავლეთში მეტად ფართო ხასიათი მიიღო.

საქდესისა და უცხოეთის პრესის მასალებიდან

ტელეტაიპის ლენტიდან...

გზრ საშიში გეგმები

ბონი, 7 იანვარი. (საკდესი). ევროპაში შექმნილ ომისშემდგომ რეალობათა არცნობა, ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკას თავდასხმა, აღვირახსნილი ანტიკომუნისტური კამპანია — აი რა აერთიანებს ახლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიასა და ნეონაცისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას.

როგორც აქ ცნობილი გახდა, დეკემბრის დამლევს მაინის ფრანკფურტში გაიმართა საიდუმლო საუბრები ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს შორის.

რეაქციული ძალები ახალ კამპანიას იწყებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, ხაზს უსვამს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „უნზერე ცაიტი“.

ქრისტიანულ - დემოკრატიული კავშირისა და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თანამოაზრეთა საიდუმლო შეხვედრაზე ლაპარაკიყო კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, პროფკავშირთა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წევრების „შავი სიების“ შედგენაზე. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლებმა მოუწოდეს ნეონაცისტთა მეთაურებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა მიაღწიონ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვას.

სულიერი ნათესაობა, რაც გამოვლინდა ფრანკფურტის შეხვედრის დროს, ცხადყოფს, აღნიშნავს „უნზერე ცაიტი“, როდინ საშიშ გეგმებს სახავს დასავლეთ გერმანიის რეაქცია. ამიტომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი დემოკრატიული ძალების ამოცანა ის არის, რომ გაძლიერონ სიფხიზლე და ერთობლივი მოქმედებით მტაცეცი წინააღმდეგობა გაუწიონ დაბაბულობის შენელებისა და მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ხრიკებს.

ხუნტის მადლობა დაიმსახურეს

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). ჩილეს სამხედრო ხუნტის მეთაურმა გენერალმა პინოჩეტმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ს. როუზს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც „გულითადი მადლობას“ უცხადებს იმასთან დაკავშირებით, რომ ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა არ გამართოს ჩილესა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ხაპასუხო მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე.

როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა წამოაყენა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ. მან ეარი განაცხადა მატჩი გამართულიყო სანტიაგოში „ნასიონალის“ სტადიონზე, რომელიც პუტჩისტებმა ამბოხების შემდეგ გადაკეტეს გოგანტურ საკონცენტრაციო ბანაკად. სადაც „წამებდნენ და სპობდნენ ორა მარტო ჩილელ მოქალაქეებს, არამედ უცხოელებსაც. ამ ობიექტურ მოთხოვნას მხარი დაუჭირა ფეხბურთის ბევრმა ეროვნულმა ორგანიზაციამ და მთელმა პროგრესულმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ. მაგრამ როუზმა და მისმა ამალამ ყური არ ათხოვეს სამართლიან პროტესტს. მათ მიაღწიეს იმას, რომ მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ეს უსამართლო გადაწყვეტილება. ამავე დროს როუზს „გულითადი მადლობა“ მოუვიდა გენერალ პინოჩეტისაგან, რომელსაც ხელი გასვრილი აქვს ათასობით ნაწამები პატრიოტის სისხლით.

გარდაიცვალა სიკეიროსი

მეხიკო, 7 იანვარი. (საკდესი). 77 წლის ასაკში ქალაქ კუერნავაკაში გარდაიცვალა გამოჩენილი მეექსიკელი მხატვარი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი დავიდ ალფარო სიკეიროსი.

ფრაქციული ბრძოლა გრძელდება

უცხოეთის პრესა ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

უცხოეთის პრესა კვლავ აშუქებს ჩინეთის არმიის უმაღლეს სარდლობაში მომხდარ ამასწინანდელ გადაადგილებას. პოლიტიკური მიმოხილველნი გამოთქვამენ სხვადასხვა ვარაუდებს გადაადგილების მოტივების თაობაზე, რადგან დღევანდელ ჩინეთში ყველა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და განსაკუთრებით სამხედრო ღონისძიება ხორციელდება მკაცრი საიდუმლოების პირობებში. მაგრამ მეტ წილ მიმოხილველთა აზრით, სამხედრო პირთა დღევანდელი გადაადგილება გამოწვეულია პოლიტიკური მოსაზრებებით და უწინარეს ყოვლისა ფრაქციული ბრძოლით, რომელიც ისევ გრძელდება პეკინის ხელმძღვანელობაში.

ლონდონის „ტაიმსი“ ამასთან დაკავშირებით წერს: ვერავინ ვერ იფიქრებს, რომ ჩინეთის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში მომხდარი რეორგანიზაცია სამხედრო აუცილებლობით განპირობებული ცვლილება იყოს. ცხადია, რომ ყველაფერი დაკავშირებულია პოლიტიკურ დაპაბულობასთან. გაზეთის აზრით ეს დაძაბულობა უწინარეს ყოვლისა ეხება ჩინეთის ხელმძღვანელობის ზედაფენას.

ასოშიეიტედ პრესის საბენბოს აზრით, რეგიონალურ სარდლობათა ახალ ანდელი რეორგანიზაცია, რომელიც 1969 წლის შემდეგ უდიდესია თავისი მასშტაბით, ეხება ძალ-დენისა და მისი უახლოესი თანამოაზრეების, მათ შორის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე ძიან-ინის ინიციატივით, რომელთა ხელშია ახლა ფაქტიურად ქვეყნის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო ძალაუფლება. ამასთანავე საბაგენტო აღნიშნავს, რომ ქვეყანაში გაჩნდნენ ეგრეთ წოდებული ახალი ოპორტუნისტები, რომლებსაც „პრაგმატიკოსებს“ უწოდებენ. საბაგენტოს თქმით, მათ აქვთ საკუთარი მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ქვეყნის მართვა-გამგეობა.

ამასთან დაკავშირებით ასოშიეიტედ პრესი ხაზს უსვამს, რომ 50-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული „აღმოჩენილია ოთხი დიდი შეთქმულება მაო ძე-დუნის“ წინააღმდეგ და მის მოშურნეთა შორის შექმნილი უკმაყოფილება კი არ ჩამქრალა, არამედ ისევ არსებობს. საბაგენტოს თქმით. ისინი შეეთანხმებულ ძალებშიც შემორჩნენ. რის გამო საეჭვო ხდება ფხიზლად ადევნონ თვალყური ოფიციერთა კორპუსს.

ამ აზრს ადასტურებს თვით პეკინის პრესაც. „ჟენმინ ჟიბაომ“ ამას წინათ გააშუქა პეკინის გარნიზონის ერთ-ერთი პოლკის პარტიული კომიტეტის მუშაობა „პოლკში ლენ ბიაოს თანამზრახველთა ბრიკების სამხილებლად“. უცხოური პრესის აზრით, ბრძოლას იმით წინააღმდეგ, ვინც უკმაყოფილია მაოისტთა პოლიტიკით. როგორც არმიაში, ისე საზოგადოებაში „ლინ ბიაოს მომხრეთა“ წინააღმდეგ ბრძოლად ასაღებენ.

პრესა არც იმას გამორიცხავს, რომ ჩინეთის არმიაში მომხდარი ახლანდელი გადაადგილება განპირობებული იყო აგრეთვე მოსწრაფებით შეეკვეცათ ძალაუფლება სამხედროებისათვის, რომლებიც „კულტურული რევოლუციის“ დროს და შემდეგ „შეუზღუდავი მმართველნი“ გახდნენ პროვინციებში. ფრანგული პრესა წერს, რომ ჩინეთის სამხედრო ოლქებში გამოცხადებული გადაადგილებანი, ალბათ, გამოწვეულია მეტისმეტად ძლიერი გავლენით, რომელსაც წლების მანძილზე მიაღწიეს ოლქების სარდლებმა.

(საკდესი 7 იანვარი).

○ 1973 წელს „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო მკითხველთა 36.377 წერილი.

○ ახალი წლის 1 იანვრიდან გაზეთი „კომუნისტი“ იბეჭდება **628.000 ტირაჟით.**

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო!

გასულ 1973 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზეთში მუშა და სოფლის კორესპონდენტთა თანამშრომლობა. წლის განმავლობაში მივიღეთ 36.377 წერილი, კორესპონდენცია, კრიტიკული სიგნალი, შეკითხვა... თქვენმა საინტერესო კორესპონდენციებმა და სიგნალებმა, მრავალფეროვანმა წერილებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს ჩვენი სარედაქციო ფოსტა.

გულითად მადლობას გიხდით, მეგობრებო, ასეთი აქტიური თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

1974 წლისათვის ჩვენი გაზეთის ხელისმომწერთა რიცხვმა შარშანდელთან შედარებით რამდენიმე ათასით მოიმატა და დღეს „კომუნისტის“ საერთო ტირაჟმა 628 ათასი ეგზემპლარი შეადგინა.

ეს მრავლისმთქმელი ციფრი დიდ მოვალეობას გვაკისრებს.

ამ ცოტა ხნის წინათ მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა მუშსოფლკორთა მოძრაობის 50 წლისთავი. გაიმართა რაიონული და საქალაქო, რესპუბლიკური შეკრებები, სადაც ბევრი რამ ითქვა საგულისხმო და ყურადსაღები. პირველ რიგში — აუცილებელია კიდევ უფრო გაფართოვდეს გაზეთისა და მისი აქტივის საქმიანი ურთიერთობა, გაზეთის ყოველ ნომერში უფრო მეტი ადგილი დაეთმოს მკითხველთა წერილებს.

ძვირფასო მკითხველებო! იმისათვის, რომ გაპამართლოთ მკითხველთა იმედი, მათი სურვილები, — ყოველდღიურად ველით თქვენს გულწრფელ, მართალ სტრიქონებს, თქვენს კრიტიკულ შენიშვნებსა და საძმაო ფინადადებებს ჩვენი ცხოვრების საინტერესო საკითხებზე. იმედია 1974 წელი ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი წელი იქნება.

სიახლე მეტალურგიაში

რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის საკონტროლო საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის საამქროს კოლექტივმა ბევრი საინტერესო ღონისძიება განახორციელა წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. მარტენის საამქროს № 1 ღუმელზე დანერგეს თბური რეჟიმის კონტროლისა და ავტორეგულირების ახალი სქემა. ამ სიახლემ გააუმჯობესა ფოლადის გამოდნობის თბური რეჟიმი, წარმოებას ათასობით მანეთი გაუონომია მისცა.

საამქროს კოლექტივმა დაამუშავა, დაამონტაჟა და საექსპლოატაციოდ გადასცა აგრეთვე ბუნებრივი და ბრძმედის გაზის შერევის კონტროლისა და ავტორეგულირების სქემა. ამასთან დანერგა ენერგოპარამეტრების დისპეტჩერიზაციის ახალი სისტემა.

განსაკუთრებით დიდ ეფექტს იძლევა საამქროში დანერგული ტექნიკური სიახლე — აგლომერაციის პროცესში აგლომერატის სინესტის ავტომატური რეგულირების შემოღება.

წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვის საქმეში აქტიურად იბრძვიან ელექტროზეინკლები ნ. ცირეკიძე, ვ. სამოხინი, უბნის უფროსები ვ. ყიფშიძე, ვ. სმიგინი, ოსტატი ე. ჩიორგაძე.

ზ. კიკაბიძე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ისევ ტოპონიმების გამო

„კომუნისტის“ 19 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ ტოპონიმების შესახებ ფართო გამოძახილი გამოიწვია. გაზეთის რედაქციამ და სტატიის ავტორმა ცალ-ცალკე მიიღეს სპეციალისტთა და მკითხველთა მრავალი წერილი (და ზეპირი გამოსმაურებაც), რომლებშიც მთლიანად გაზიარებულია სტატიის ძირითადი იდეა და ერთსულოვნად არის აღიარებული, რომ ტრადიციულ ტოპონიმებს დაცვა სჭირდება.

მკითხველთა წერილებსა და გამოსმაურებებში ამასთან ერთად აღძრულია რამდენიმე მტკივნეული საკითხიც, რომლებიც, მართალია, სტატიის ძირითად შინაარსს არ ეხება, მაგრამ საერთო ინტერესებს საგანს წარმოადგენს და პასუხს მაინც მოითხოვს. მოკლედ გუპასუხებთ მათ.

თ. მიბჩუანი (სოხუმი) საჭიროდ თვლის იმის აღნიშვნას, რომ ლანჩხუთი ტოპონიმი სვანური წარმოშობისაა. ეს აზრი, ისევე როგორც ხსენებული ტოპონიმის სხვაგვარი ეტიმოლოგია, დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიის მიზანს არ შეადგენდა სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა. იქ საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ლანჩხუთ ტოპონიმის ეტიმოლოგიამ კოლხური წარმომავლობის ახსნის ერთმა ვარაუდმა ზოგიერთ ამხანაგს საფუძველი მისცა ის არაფერად საკუთარ სახელად მიეჩნია და მისი შეცვლა მოეთხოვა. სტატიის ავტორს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ეს და ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიის მსგავსი ცდები, როცა ამბობდა: ეს ეტიმოლოგია „ერთადერთი და სამოლოდ დადგენილი არ არის. არა გვაქვს დამაჯერებელი ახსნა ძველებური ლანჩჩუთ ფუძისა“. თ. მიბჩუანის ვარაუდი ლანჩჩუთ ფუძე სვანური ლანჩხუტ (ანეზიანის მნიშვნელობით) უნდა იყოს, ეყრდნობა აღრე გამოთქმულ მოსაზრებას, მაგრამ ამ მოსაზრების უცილობელ ეტიმარიტებად მიღებას ამბოკოლებს რამდენიმე გარემოება. ამიტომ საკითხის ასე გადაწყვეტა ჯერ კიდევ ნაადრეგადა უნდა. მივიჩნიოთ. ლანჩხუთ ტოპონიმი, ჩვენი რწმენით, ნამდვილად ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ქართველური სიტყვაა, ოღონდ მის ეტიმოლოგიას უფრო მეტი დამაჯერებელი არგუმენტებია ესაჭიროება. ლანჩჩუთ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე, ერთურთის სრულიად გამორიცხავი, ვარაუდია გამოთქმული და ერთი, ყველასათვის სარწმუნო და მისაღები დასკვნა ჯერჯერობით არა გვაქვს. ეს არც არის საკვირველი. ეტიმოლოგია სიტყვისა რამდენადაც საინტერესო, იმდენად მაცდუნებლებიც არის. ვარაუდები ალბათ მომავალშიც გამოთქმება. სულ ახლახან, მაგალითად, ნ. აფხაზავამ ლანჩჩუთ ფუძე კოლსურ (მეგრული) სამზრის, გადმოსახედის მნიშვნელობით განმარტა. სპეციალისტებისაგან ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენს ტოპონიმს შეიძლება სულ სხვაგვარი ახსნაც მოეძებნოს, ვიდრე აქამდის არის ცნობილი. სწორედ ამის გამო იყო სტატიაში ნათქვამი: „რახან სახელის ეტიმოლოგია ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, მისი რომლიმე გაგების აუცილებელ ჭეშმარიტებად აღიარება და ამაზე დაყრდნობით შორს გამიზნული დასკვნის გაკეთება გაუმართლებელი აჩქარება იქნებოდა“. ეტიმოლოგიური ძიება საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ აქ აჩქარება დაუშვებელია, აუცილებელია სიფრთხილე. ყოველგვარი მოსაზრება უნდა აიწონ-დაიწონოს, ყველა მათგანს, მათ შორის თ. მიბჩუანის ვარაუდსაც, რომელიც ცხადია, საქმის ინტერესებს ემსახურება, ანგარიში უნდა გაეწიოს და დამაჯერებელი, ყველასათვის მისაღები დასკვნა გაკეთდეს. წინასწარ კი ერთი რომელიმე აზრის იმპერატიული ტონით გამოთქმა და უეჭველ ჭეშმარიტებად მიჩნევა ძნელია.

ნ. კულდღნაშვილს (ბოლნისის რ.) მიაჩნია, რომ ადგილებს ძველი სახელები არათუ უნდა გადავარქვათ, არამედ საჭიროა „მოვძებნოთ და აღვადგინოთ ის, რაც წაშლილი და გადარქმეული ია. ადამიანების გარკვეული ნაწილის სურვილი სახელი შეუცვალონ მშობლიურ სამყოფს, საკუთარი თავისა და ქვეყნის, ისტორიის უპატივცემულობაა“. მსგავსი შინაარსისაა ს. სვინტიძისა (თბილისი) და ჯ. სადრაძის (ბათუმი) გამოსმაურებანიც.

ტ. მახარაშვილს (მოსკოვის ოლქი) აინტერესებს კარტალი ფუძის საფაყობა, რადგან ბოსელი ბაკირულად კერტად გამოითქმისო. კარტალი ფუძეში, სპეციალისტების ცნობით, გამოიყოფა კარტა (— ქართა) ძირი და — ლი ფორმანტი. სიტყვა თურქული წარმომავლობისაა და ვ. ნიკონოვის დასკვნით, დაცულია თანამედროვე ბაშკირულში. კერტა შეიძლება იყოს კარტას ვარიანტი.

გ. ლუდუშაური (თბილისი) თვლის, სახელი ალექსანდრე ძვ. ბერძნულად ულა ნიშნავდეს მამაკაცთა, ვაჟკაცთა, ყმათა დამცველს და არა მწყემსს, ან ძროხათა მწყემსსო, და დასძენს: „ძალიან გთხოვთ ჩვენი ეს პატარა შენიშვნა როგორმე გამოაქვეყნოთ, რათა საქართველოში მცხოვრებ ალექსანდრეთა მრავალრიცხოვანი არმია (თვით პატივცემული ავტორის ჩათვლით) ნაწყენი არ დარჩეს“.

სავსებით ლოგიკური მსჯელობაა! ბერძნ. ალექსანდრეს ამნაირი და მსგავსი თარგმანი კარგად არის ცნობილი და ამის გაგებას მართლაც არ სჭირდება ღრმა ფილოლოგიური ძიება. თუ სიტყვას ბერძნ. ალექსოდან მიღებულად ჩავთვლიდით, სწორედ ეს იქნებოდა მისი ქართული კალკი. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დასახელებული სიტყვის ეტიმოლოგია მოცემული არ არის და ამ სულ სხვა დანიშნულების სტატიაში ამის მოცემა საჭირო არც იყო. იქ მხოლოდ დამოწმებულია სამი ორბელიანის მიერ მოცემული განმარტება („მწყემსი ძროხათა“), რაც საყოველთაოდ ცნობილია. ამ განმარტებაზე სხვებთან ერთად ავტორსაც ბევრი უფიქრია, მაგრამ ჯერჯერობით სამას რეკომენდაცია დასაბუთებულად ვერ მიუნიშნია. შეიძლებოდა უბრალოდ გვეთქვა, სამას ნაშრომში უსუსტობაა შეპარული-თქო და ამით ყველაფერი დაგვმთავრებინა, მაგრამ საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტას ხელს უშლის ზოგი არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რის გაუთვალისწინებლობა, შეუძლებელია. სამასეულ განმარტებას სხვა მკითხველებიც დაუნტერესებია და მათაც გვიხოვეს პასუხი. კერძოდ, მ. აროშიძე (თბილისი) გვეკითხება: „რამდენად ვიცი, სახელი ალექსანდრე ძალიან ძველი უნდა იყოს. ხომ ვერ გვეტყვით, საიდან მოხდა იგი სამას ლექსიკონში?“ დასხლოებით ანალოგიური შინაარსის შეკითხვით შოგვმართა ტ. გულუამაც (თბილისი).

რახან ხსენებული საკუთარი სახელის ბედით რამდენიმე მკითხველია დაინტერესებული, ამაზე ორიოდე სიტყვა უფრო დაწვრილებით უნდა ითქვას.

სამას ლექსიკონში მრავალი უცხოური საკუთარი სახელია აღბეჭდილი განმარტება-თარგმანთურთ, რაც შესაბამისი წყაროების მიხედვით არის გამართული. ცნობილია, რომ ლექსიკის დიდ გულთამხილავს უცხოური წარმომავლობის სიტყვების განმარტება შეუმოწმებლად არ მოუცია.

საერთოდ უცხოური წარმომავლობის სიტყვებზე, რომლებიც ლექსიკონში არის შეტანილი, სამა ბრძანებს: „რაოდენ ძალმედვა, ვეცადე ელლენთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე“; „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელნი სიტყუანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვეძიე და რომელიმე სხუათა ენათა შეგამოწმე და გამოწკლილვით რომელიცა ვპოე, ადგილად თან მოვაწერე. რომელიცა ვერა ვპოვე, საცილობელი არ დავწერე“.

გამოდის, სამას ხელთა ჰქონია მრავალი წყარო, საიდანაც ამოუკრებია საჭირო ინფორმაცია, ლექსიკონში რომ არის დამოწმებული. უწყაროდ მას არც ერთი განმარტება არ მოუცია. არ ვიწყოთ დიდი მეცნიერის გულწრფელ აღსარებას? სამამ ბერძნული ენა იმდენად კი იცოდა, რომ ალექსანდროს სახელის შედგენილობა გაერკვია. სხვა ბერძნული სიტყვის განმარტებისას ასეთი რამ თითქოს არ მოსულია, რაღა მაინცდამაინც აქ უნდა მოსულოდა შეცდომა? ამიტომ აქ შეცდომაზე ლაპარაკი ძნელია. უნდა ვიფიქროთ პირიქით, მას ხელთა ქონდა რომელიღაც სხვა წყარო, ეყრდნობოდა სხვა ინფორმაციას, რასაც ჯერხნობით ჩვენ არ ვიცნობთ. ხომ არავის შეუჯერებია სამას ლექსიკონის ყველა უცხური წყარო!

ს. მაზმანიშვილი (თბილისი) რედაქციას სწერს: „სრულებით ვეთანხმები ამ წერილის ავტორს... მაგრამ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ჩემდა უნებურად. აღმძრა სულ სხვა საკითხი“... მას არ მოსწონს, მაგალითად, რომ უცხური ენებიდან ნასესხებ სიტყვებში, რომლებშიაც გაორმაგებული თანხმოვნები გვხვდება, დღეს ქართულად ერთი თანხმოვანი იწერება. ცნობილია, რომ ქართულ ენას არ უყვარს თანხმოვანთა გაორმაგება და ამიტომ ნორმად მიღებულია ნასესხებ სიტყვებში თითო თანხმოვნის ხმარება. უნდა ვწეროთ არა დაკა, ტორორიელი, შილერი, მარკა, ოტერდამი, მინესოტა, მისური, კომმუნისტი, კოლლეგა, გრამმატიკა და ა. შ., არამედ დაკა, ტორორიელი, შილერი, მარკა, როტერდამი, მინესოტა, მისური, კომუნისტი, კოლეგა, გრამატიკა და ა. შ. ორი თანხმოვნის ერთად ხმარება მაშინ არის დასაშვები, როცა ერთი ფუძისეულია, მეორე — სუფიქსისეული. უნდა ვწეროთ ქაშამ-მა, რადგან აქ ერთი მ ფუძისეულია, მეორე — სუფიქსისეული (მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის კონსონანტური ნაწილი), ასევე უნდა ვწეროთ შას-ს, რადგანაც აქაც ერთი ს ფუძისეულია, მეორე — მიცემითი ბრუნვის ნიშანი და ა. შ. ამისთანა შემთხვევებში ორი თანხმოვნის ერთად წერა სავალდებულოა და ამას კავშირი არა აქვს ნასესხებ სიტყვებში ორი თანმოვნის ხმარებასთან. ეს ორი სხვადასხვა საკითხია.

რაც შეეხება დაწესებულებათა ან ბეჭდვითი ორგანოების რუსული სახელწოდებების ქართულ ტრანსლიტერაციას, რაზედაც ყურადღება გამახვილებულია ს. მაზმანიშვილის წერილში, აქ უნდა დავიცვათ ერთი წესი: რუსული (და უცხოური) სახელწოდებები უნდა ვწეროთ დედნის შესაბამისად: „ლიტერატურნაია როსსია“ და არა „ლიტერატურნაია როსსია“. შემდეგ, წერილის ავტორი მოითხოვს ф ასოს ხმარების შემოღებას, რასაც ახლა ვერ დავუჭერთ. ის წინადადებას იძლევა ჩწეროთ ორფოგრაფია, ფიშერი და არა ოროთოგრაფია, ფიშერი და ა. შ. ф ასოს შესატყვისი ფონემა (ბგერა) ქართულმა ენამ არ იცის და ამ ასოს ხმარება არაფრით არ არის გამართლებული. მისი წერა ნასესხებ სიტყვებში XVIII-XIX სს. მოსინჯეს, მაგრამ ვერ დამკვიდრდა.

ქართული ენის ორთოგრაფიის ძირითადი ნორმები დღეს დადგენილია და ჩვენი მოვალეობა არის მათი დაცვა. ზოგი რამ დასაზუსტებელი კია, მაგრამ ძირითადი წესები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ, შეცნიერულად არის დასაბუთებული. ამ ნორმებს ასწავლიან სკოლებში, იცავენ პრესის ორგანოები და გამომცემლობები, ამ ნორმების მიხედვით ფორმდება კინო და ტელეფილმები, რადიო და ტელეგადაცემები. დაინტერესებულ პირს შეუძლია მათი გაცნობა ორთოგრაფიის ცნობარებსა და ლექსიკონებში.

პროფესორი ალ. ღლონტი.

გვისმენს ჰარტია

სოციალისტური შრომის გმირს

გრიგოლ ტყემალაძეს

შენ აწვდი მადანს
ფოლადის და
თუჯის მდნობელსა,
რომ მანქანებით
მისწვდეს კაცი
მიუწვდომელსა.
შენ ანგრევ მადანს
და მაგ ნგრევით
აგებ ხომალდებს,
რომ შენი შვილი,
შენი ხელით
ასწვდეს ხომალმდეც-
სადაც გმირული,
ვაჟკაცური
შრომა კაუინებს,
შენც მიემატა-
ძმაო გრიგოლ,
გოგატიშვილებს.
შენც დადგი ხვავი
მთებზე უფრო
მაღალ ხვავებად
და კრეფ ვარსკვლავებს
დედამიწის
ასაყვავებლად...

ეგ მუზარადი
შრომის ფრონტის
მუზარადია,
მაგ მუზარადქვეშ
შრომის ჰიმნის
მუზა ანთია...
ქვესკნელიდანაც
მისწვდა ზესკნელს
შენი მხარ-მკლავი...
ოქროს ვარსკვლავი
არის თურმე
ბედის ვარსკვლავი...
შრომა ყოფილა
სასახელო
და გზა ვარდისა,
შრომა ყოფილა
კაცისათვის
შვებას მომფენი...
მან ასახელა
შენი გვარი
სამარადისოდ,
შენ ასახელე
უსახელო
შენი სოფელი.

დღეს, როცა ლექსი
შენს დიდ შრომას
ასე აფასებს,
გვიხმობს პარტია
შრომის ფრონტზე
ასაოთასებს...
გმირის ხელწერა
არის თურმე
გარჯა ზღაპრული, —
გამრჯე მარჯვენა
ხუთწლედს აზის
თარჯად დაკრული.

გიორგი ფერეთელი.

ავტოგუსლების მოძრაობა უნდა განახლდეს

ამ რამდენიმე თვის წინათ მოხსნეს ქუთაის-ღვირონისა და ღვირონ-ცაგერის ავტობუსების რეისები. მთავარ მიზეზად გზის შეუკეთებლობა მიიჩნიეს.

გავიდა ხანი. ჩვენ, ღვირონის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებლებმა, გზები საფუძვლიანად შეიკეთეთ. სპეციალურმა კომისიამ გზების კარგი შეფასება მისცა. მაგრამ ავტობუსების რეისების აღდგენას დღემდე არაფერი ეშველა.

ავტობუსებიდან სარგებლობდა ორ სასოფლო საბჭოში შემავალი რვა-ცხრა სოფელი. დროა აღდგეს ქუთაის-ღვირონისა და ღვირონ-ცაგერის ავტობუსების რეისები.

ლ. ხეცურიანი,
პენსიონერი.

აგიტატორთა სემინარი

ცხაკაია. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მიკროუბნის აგიტპუნქტში მოეწყო აგიტატორთა ზონალური სემინარი. აგიტატორთა სადღეისო ამოცანებზე ილაპარაკა აგიტპუნქტის გამგემ კ. ხარბედიამ; სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე ლექციი წაიკითხა ტექნიკუმის დირექტორმა მ. ქვარცხავამ.

სემინარზე თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს აგიტატორებმა.

ბ. ბულუა.

გიგლიოთეკა ახალ შენობაში

დაბა მაიაკოვსკის წიგნის მოყვარულებმა საახალწლოდ კარგი საჩუქარი მიიღეს. სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის აშენდა ახალი ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა.

სარაიონო ბიბლიოთეკას აქვს ფართო, ნათელი სამკითხველო დარბაზი. ცალკეა მოთავსებული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების საცავები. ბიბლიოთეკას აქვს წიგნის დასამუშავებელი, გაცვლითი ფონდის, მეთოდისტის ოთახები.

გემოვნებით არის გაფორმებული ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი, დასამუშავებელი და მოძრავი ბიბლიოთეკის ოთახები.

მკითხველებს ემსახურებიან საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარები ხ. სახამბერიძე, რ. სოფრომაძე, საპატიო ბიბლიოთეკარი ნ. ფურცელაძე, ნ. ზარიქაძე, რ. თავზელიძე, ც. კოტორიშვილი.

შ. ებანოიძე.

მკითხველი გვთავაზობს

უენდება და მშვენდება მეშახტეთა ქალაქი ტყიბული. უკანასკნელ ხანს აქ მწყობრში ჩადგა ახალი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი, კეთილმოწყობილია ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ხურათზე: ქალაქის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი კუთხე.

ჩვენი გაზეთის მკითხველის ბ. ხახელაშვილის ფოტო.

მკითხველთა წერილებიდან

მხოლოდ ფაქტები

აბაშის რაიონიდან ხუჯუნის, ნაესაკოვის, ეწერის მიმართულებით ცენტრალური შარაგზები ყველგან ასფალტირებულია, ადრე კი „დიბაბეთეს“ შარაგზებზე გავლა ჭირდა.

წელს ტეხირ-აბაშიდან — პირველ კოდორის მიმართულებით რამდენიმე ახალი ხიდი-ბოგირი აშენდა. გზების კეთილმოწყობის სამუშაოები შეასრულეს „კოლხიდმშენის“ სამშენებლო უბნებმა, რითაც მშრომელთა დიდი მადლობა დაიმსახურეს.

რ. ჭანტურია.

ვარხანი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია ადიგენის რაიონში. იგი ადიგენის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის ცენტრს წარმოადგენს. ამ დღეებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერმაღის ახალი შენობა.

სამხედრო ნაკილიდან წერილი მოვიდა

მშობლების სიამაყე

მიხეილ ნანობაშვილისათვის 1972 წელი დაუვიწყარი იყო. მან ამ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მამის კვალს გაჰყვა — მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში. შრომამოყვარე და გამრჯე ჭაბუქმა მოკლე ხანში მოიპოვა სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო სიყვარული და პატივისცემა. „კვიცი გვარზე ხტისო“, — ამბობდნენ სტამბის ძველი მუშები, როცა მიხეილის გარჯას შეპყურებდნენ.

მომდევნო წელს მიხეილი უკვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, მან თავიდანვე, სიყვარულითა და კეთილსინდისიერად მოჰკიდა ხელი სამხედრო საქმის შესწავლას და მალე ასეულში ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი გახდა.

ამას წინათ თბილისში მიხეილის მშობლებმა სამხედრო ნაწილიდან წერილი მიიღეს. წერილს ხელს აწერდნენ ნაწილის მეთაურები ჩერნიშევი და ნეგზოროვი:

„პატივცემულო ვ[illegible]ერირა იაგორის ასულო და მიხეილ სოლომონის-ძეო, უკვე რამდენიმე თვეა ჩვენს ნაწილში სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის თქვენი შვილი მიხეილ მიხეილის-ძე ნანობაშვილი. ამ ხნის მანძილზე მან თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა და დისციპლინიანმა მებრძოლმა, მედგრად იტანს სამხედრო სამსახურის ყველა სიძნელეს. თავისი შრომით, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებითა და სიყვარულით ამხანაგებსა და მეთაურებში დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა. დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის მიხეილი სარძოლოდ და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული გახდა. ტაქტიკურ მეცადინეობებზე იგი ყოველთვის იჩენს ინიციატივასა და ფინდასდედულებას, რისთვისაც სარდლობამ არაერთხელ გამოუცხადა მადლობა. გარდა ამისა მიხეილი ნებრად იცავს თავისი ქვეგანყოფილების სპორტულ ღირსებასაც.

ნება გვიბოძოთ დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მიხეილი მომავალშიც სამაგალითო იქნება და გვასახელებს მეთაურებს და მშობლებს“.

მშობლებისათვის მართლაც რომ საამაყოა ასეთი კარგი შვილის ყოლა...

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: მოქალაქეს შეუძლია თუ არა თავისი პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანა აჩუქოს ნებისმიერ პირს?

ვ. ხუროშვილი
გარდაბანი.

პასუხი: მოქალაქეს უფლება აქვს თავისი პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომანქანა აჩუქოს მხოლოდ მეუღლეს, შვილს, მამას, დედას, შვილიშვილს, დას, ძმას, დისწულს ან ძმისწულს. ჩუქების ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იქნას სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ და შემდეგ სახელმწიფო ავტოინსპექციაში გაფორმებული.

შეკითხვა: მუშებსა და მოსამსახურეებს ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევის შემთხვევაში ეძლევათ თუ არა დახმარება?

დ. ჯახაია.

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც მუშაობა შეწყვიტეს საბჭოთა არმიაში გაწვევის გამო, ეძლევათ გასასვლელი დახმარება ორი კვირის საშუალო ხელფასის ოდენობით.

შეკითხვა: პენსიონერს, რომელსაც სარგებლობაში აქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, უმცირდება თუ არა პენსიის ოდენობა?

თ. გოდოკაია
წყალტუბო.

პასუხი: იმ პირს, რომელსაც პენსია უნდა მიეცეს გამამუშავების პროცენტულად, მუდმივად ცხოვრობს სოფლად და აქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,15 ჰექტარზე მეტი, პენსია დაენიშნება კანონით დაწესებული ნორმის 85 პროცენტის ოდენობით.

შეკითხვა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ასალებად განკუთვნილი სახლიდან მობინადრის გამოსახლება შეიძლება თუ არა ბინის მიუცემლად?

ჯ. ალავერდაშვილი
გორი.

პასუხი: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 325-ე მუხლის შესაბამისად მოქალაქის პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ალების შემთხვევაში, დამქირავებელს, რომელიც ასალებად განკუთვნილ სახლში ცხოვრობს არანაკლებ ერთი წლისა, უნდა მიეცეს სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი.

შეკითხვა: დასაშვებია თუ არა სამუშაოდან მოლარე-მოანგარიშის გათავისუფლება პროფესიული კავშირის ადგილობრივი კომიტეტისაგან თანხმობის მიუღებლად?

ნ. ჯელია
თიანეთი.

პასუხი: საწარმოსა და დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნით დაუშვებელია სამუშაოდან მუშაკის დათხოვნა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისებისა (შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლი). მოლარე-მოანგარიშე მიეკუთვნება იმ პირთა კატეგორიას, რომელთა განთავისუფლებისათვის აუცილებელია ადგილობრივი კომიტეტის წერილობითი თანხმობა. მუშაკი, რომელიც სამუშაოდან დათხოვნილია აღნიშნული წესის დარღვევით, აღდგენილ უნდა იქნას თავის უფლებებში.

შეკითხვა: სოფლად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს სასწავლებელში წასვლის შემთხვევაში ჩამორთმევად თუ არა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი?

ა. გაბრიელიძე
ჭიათურა.

პასუხი: საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს სასწავლებელში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ენარჩუნებათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება.

შეკითხვა: საცხოვრებელი ფართობის მისაღებად აღრიცხვაზე აყვანილი პირები, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან წასული არიან სწავლისათვის ასპირანტურაში, მოიხსნებიან თუ არა აღრიცხვიდან?

თ. კოხრიძე
თბილისი.

პასუხი: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასულები არიან სასწავლებლებში (სტუდენტები, ასპირანტები და სხვ.), ენარჩუნებათ საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება სწავლის განმავლობაში: ამ დროულების გათავისუფლებით ის პირები, რომლებიც დროებით წასული არიან, მაგრამ კანონით ინარჩუნებენ საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლებას, აღრიცხვიდან არ მოიხსნებიან.

შეკითხვა: უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება თუ არა საერთო მუშაობის სტაჟში?

ო. ესიავა
თბილისი.

პასუხი: უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის პერიოდი ჩაითვლება მოხუცებულობის პენსიის დანიშვნისათვის საერო მუშაობის საერთო სტაჟში ამ პირობით, თუ სწავლის დაწყებამდე მოქალაქე მუშაობდა ან სამკითხა არმიაში მსახურობდა.

სასამართლო დარბაზიდან

დანაშაული და სასჯელი

ცაგერი. ზაფხულის დღე იყო. რაიკოოპკავშირის მძღოლმა რამინ რაჟდენის-ძე ბერულავამ ავტომანქანაზე 2 ტონა შაქარი დაიწყო, გვერდით 2 მგზავრი, ოღონ ძარაზე 7 კაცი დასვა და სოფელ ზარაგიულისაკენ მიმავალ ზიგზაგიან გზას გაუყვა. მძღოლმა ანგარიში არ გაუწია იმას, რომ სასოფლო გზის პროფილი უვარგისი და მეტისმეტად ციცაბო იყო.

მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე. მძიმე ტვირთისა და ეკუდი, ოღროჩოღრო გზის გამო ძრავი ჩაჭრა. საუბედუროდ, ასეთ კრიტიკულ მომენტში მუხრუჭებმაც უმტყუნა. ავტომანქანა ჯერ ციცაბო დაღმართზე დაგორდა, მერე კი 23 მეტრის სიმაღლის ხევში გადაიჩეხა.

ამ საზარელი ავარიის მსხვერპლი გახდა 2 ადამიანი, ხოლო 5 მგზავრი დაშავდა.

ამ შეთხვევას ცაგერის რაიკოოპკავშირის გამგეობის ხელმძღვანელთა უყურადღებობა-უყნანტროლობა ამ ბედნიერ ყოფა ხელი. ჩანს, ისინი ნაკლებად ზრუნავენ საკუთარი ავტომანქანსპორტის სწორი ექსპლოატაციისათვის, არარად აგდებენ მთის ციცაბო გზებზე ტვირთის გადაზიდვას, მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვას.

ამ დღეებში დაუდეგარი მძღოლის რამინ რაჟდენის-ძე ბერულავას საქმე განხილა ცაგერის სახალხო სასამართლომ და დამნაშავეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ მძღოლს 5 წლით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება. მასვე დაეკისრა რაკოოპკავშირის სასარგებლოდ 2600 მანეთი ზარალის გადახდა.

ბ. ცირეკიძე.

ძვირფასო მკითხველებო!

ველი თქვენს გულწრფელ, მართალ სტრიქონებს, თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს!

თქვენი თანამშრომლობა, თქვენი სიტყვა უფრო ქმედითსა და მებრძოლს გახდის ჩვენს გაზეთს.

იხაროს ჭერმა!

ოჯახის სიხარული

თბილისში შენი პოვნა გაგვიძნელდა, ეთერ. გვიჩქარებოდა ნახვა, რადგან ძველმა წელმა უკვე აიკრიფა გუდა-ნაბადი, მომავალ ბედნიერ მეკვლეს კი, გამიგონია, ბარაქიან ოჯახში უყვარსო პირველად შესვლა.

ქართულ ოჯახს არ აკლია ხვავი და ბარაქა, მაგრამ შენისთანა ფიდები კი ძლიერ სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ამბობენ, „შვიდიანნი“ ბედნიერების მომტანი ციფრიაო.

ისინიც შვიდნი არიან, უნაკლონი, თვალებბატული გოგო-ბიჭები, ინჟინერ შალვა ჯაფარიძისა და ეთერ ფალავას შვილები. მათგან 4იცელქით სერგოს გამოარჩევ, გულიანად რომ იცინის და ცხობისმოყვარეობით გათვალიერებს, მისთვის ხომ ადრეა მიგიზვდეს შენს სიხარულსაც, და ტკივილსაც, გიგოს ახალი წლის მიჯნაზე უცხო სტუმარი რატომ მიხვედი ამ ბედნიერ ოჯახში. მარგალიტა სამზარეულოში საქმიანობს თავს ანებებს და სერგოს მიუთითებს წიგნი წაიკითხოს, თან იმ ერთადერთი სამიანის გამოსწორებაზე იფიქროს, ამ მეოთხედში რომ გამოპაჯა. მარგალიტა — ცხრამეტი წლისაა, ეთერის უფროსი შვილი, სამედიცინო სასწავლებლის მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, შუქერიმ რვა კლასი დამთავრა, ჩვიდმეტი წლისაა და უკვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მესამე კურსზე სწავლობს. მის სიტყვას გაკლენა აქვს უმცროსებში. საოცარი სიწყნარეა ამ ოჯახში, გიკვირს, რადგან ზოგჯერ ოჯახს ერთი შვილის ხმაურიც უზომოდ აწუხებს, მათ კი ყველას საკუთარი ადგილი აქვს მიჩნეული, თავიანთი საქმე საზრუნავი გასჩენიათ, მათ ხომ ერთმანეთის მოვლა-პატრონობაც აკისრიათ.

დილის ცხრა საათზე ოჯახის ცხრა წევრი გადის სახლიდან. თვითეული ცალ-ცალკე მიიჩქარის გზაზე, მართალი, პატიოსანი გზით მიდიან და ამავე გზით ბრუნდებიან ისინი შინ. ბებია კი ყოველდღე მოუთმენლად ელოდება შვილიშვილების მაიას, სერგოს, ტატიანას, გედევანის სკოლიდან დაბრუნებას. ის არის მათი პირველი დამხვდური. შალვამ ხუმრობით მითხრა — საღამოს ექვს საათზე კი ყველანი ოჯახში ვართო, თუმცა მაია არ აცლის მამას ლაპარაკს და საყვედურით მიმართავს — საჩერიდან ნამდვილი ნაძვისხე რატომ არ ჩამომიტანეო. „ჩიჩოლაკს“ ადვილად ჩამოგიტანდი, ოღონდ გამომთლელები აღარავინ დარჩა სოფელშიო, უპასუხებს მამა, ბავშვებს არც აინტერესებთ ამ უცნაური სახელწოდების შინაარსი და ისევ გატაცებით დაეძებენ ბრძყვიალა სათამაშოებს, დედამ რომ საახალწლოდ მოუტანთ. შვიდი წლის გედევანი, უმცროსი ვაჟიშვილი. დედის კალთას ეფარება და საახალწლო მაგიდაზე დალაგებულ გოზინაყს ეპარება. სუფრას მერი დასტრიალებს თავს, ლამაზი დიდრონი თვალები კეთილად შემოგცქერიან და ხალისით გიწვევენ-მაგიდასთან. გკერა, რომ ის კვების მრეწველობის სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტია და მან ფრიადოსნობის სტიპენდიით ნაყიდი სარეკერით მიულოცა დედას ახალი წელი.

ორმოცდაორი წლისაა ეთერი, ოჯახის ერთგული, შვილების მოყვარული დედა. 1952 წელს დაამთავრა თბილისის რესტაურაციის ტექნიკუმი. დღეს იგი საქართველოს სახელმწიფო არქივში მუშაობს. 1953 წელს თავისი ბედი დაუკავშირა შახტმშენებელს შალვა ჯაფარიძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის საშთო მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომელს, და ურთიერთ სიყვარულითა და მხარდაჭერით ზრდიან შვილებს. ყოველი ახალი წლის მობრძანება ამ ოჯახში განსაკუთრებული სიხარულია. ახლაც ასეა. ბედნიერი ოჯახი გულგახსნილი, ამაყი და წელგამართული შეეგება ახალ — 1974 წელს, ყველა მშობლის სურვილს იმეორებენ ეთერი და შალვა, რას ვისურვებთ? — ჩვენი შვილების კარგად ყოფნას, ჩვენი ერის გამრავლებას, ჯანმრთელობას.

ჩვენი სურვილიც ასეთივეა — 1974 წელმა შეგვისრულოს კეთილი იმედები, იმრავლონ გმირმა დედებმა.

ლ. ჭინჭლაძე.

სურათზე: გმირი დედა თავის შვილებთან.

ს. კილაძის ფოტო.

ვიწვევთ საკონკურსოდ

გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ძვირფასო მკითხველებო!

ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის დადგომისთანავე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია სკკპ XXIV ყრილობისა და პლენუმების, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ჩვენი დღეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო დოკუმენტია.

იმისათვის, რომ უკეთ ვაჩვენოთ გაზეთის ფურცლებზე ჩვენი ადამიანების — მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ჩვენი სპეციალისტების შემოქმედებითი შრომა, ვუამბოთ, რას და როგორ აღწევენ ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში, იგრეთვე ავსახოთ ის წვლილი, რომელიც შეაქვთ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს, გაზეთ „კომუნისტს“ რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო ფოტოსურათზე.

რედაქცია არ ზღუდავს მკითხველებს თემის არჩევაში. თემები შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს. მაგრამ ერთ-ერთ მთავარ თემად, ისევე როგორც ჩვენს მიერ წინათ ჩატარებულ ფოტოკონკურსებში, რჩება ჩვენი თანამედროვე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანი.

ველით კონკურსის მონაწილეთაგან მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ ფოტოსურათებს.

კონკურსზე შეიძლება გამოგზავნოთ აკრეფილ ან-რული ფოტოსურათები, ჩვენი რესპუბლიკის პეიზაჟები.

ფოტოსურათები უნდა გამოიგზავნოს შავ-თეთრი ანაბეჭდების სახით, არანაკლებ 18X24 სმ ზომისა, კრიალა ქაღალდზე. უნდა დაურთოთ ახსნა-განმარტებითი ტექსტი, მოგვწერეთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი.

ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1974 წლის 31 დეკემბერი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

1. ერთი პირველი პრემია 100 მანეთი
2. ორი მეორე პრემია 75-75 მანეთი.
3. სამი მესამე პრემია 50-50 მანეთი

კონკურსის შედეგები გამოცხადდება ჩვენს გაზეთში.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, ლენინის ქ. № 14 გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

ძვირფასო მკითხველებო, ველით თქვენგან ფოტოსურათებს კონკურსისათვის!

საქართველოს რაიონებში

ამბროლაური

გვაცნობებენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

გაშენდა ახალი უბანი

ამ ორი წლის წინათ დიდი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს სოფელ კლდისუბანს. მეწყერმა მდინარე რიეფულისაკენ დასძარა ოდითგან მჭიდროდ დასახლებული დიდი ტერიტორია. ჭ არავის გაეძლებოდა და სოფელი აიყარა. ხელმძღვანელმა ორგანოებმა და რაიონის მოსახლეობამ დიდი დახმარება გაუწიეს ახალ მოსახლეებს. მათ სამელნე ნოყიერ ბალაზე, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე გამოუყვეს საუკეთესო სამოსახლო ნაკვეთები, შეიღავათან პირობებში მისცეს კredიტი, მოამარაგეს სამშენებლო მასალებით.

და აი, სულ მოკლე დროში გაშენდა ქალაქის ტიპის ახალი უბანი, ორსართულიანი, კაპიტალური ოდა-სახლებით. ბგერმა კოლმეურნემ ახალმოსახლეობა ახალი წლის წინა დღეებში ეზეიმა.

მწყობრშია ახალი კორპუსი

ბუგეულის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმას კარგი სიახლე შეემატა — აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეფრინველეობის ახალი, მთლიანი მექანიზებული კორპუსი, რომელიც ექვსი ათასი ფრთა ჯიტცსმდებელი დედლისათვის არის განკუთვნილი.

აქ ყველა შრომატევადი სამუშაო, როგორიც არის ფრინველის დარწყულება, მისთვის საკვების მიცემა, კვერცხის შეგროვება და ნაკელის გატანა სპეციალური ტრანსპორტიორის საშუალებით სრულდება.

მექანიზებული საფრინველე მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის წარმოებას, აამაღლებს მეფრინველის შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს დანახარჯებს.

რაჯული ლორი — მშრომელთა სუფრას

ზამთრის დადგომისთანავე მუშაობა განაახლა რაჭული ტრადიციული ლორის გამომყვანმა საამქრომ, რომელმაც თავისი პირველი პროდუქცია შარშან გამოუშვა.

საამქრო წელს 70 ტონამდე ლორს მიაწვდის რესპუბლიკის მშრომელებს, ამ დღეებში ახალი პროდუქციის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა თბილისში.

ვ. ცირეკიძე.

ამინდი

დღეს, 8 იანვარს **დასავლეთ საქართველოში** უნალექო, მზიანი ამინდია მოსალოდნელი, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 8-13, მთაში 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებშიც უნალექო, მზიანი ამინდი გვექნება, კახეთის რაიონებში — ნისლი, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 2-7, მთაში 0-5 გრადუსი სითბო.

თბილისში კვლავ მზიანი ამინდი იქნება, ტემპერატურა 5-7 გრადუსი სითბო.

მუსიკა მეგობრობის ენაა

ქართველი მუსიკოსები კაიროს კონსერვატორიაში

შურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ პირველ ნომერში, რომელიც განკუთვნილია არაბული ქვეყნების მკითხველთათვის, დაბეჭდილია ვრცელი რეპორტაჟი ხელოვნების ახალი, მთლიანი მექანიზებული კორპუსი, რომელიც ექვსი ათასი ფრთა ჯიტცსმდებელი დედლისათვის არის განკუთვნილი.

აქ ყველა შრომატევადი სამუშაო, როგორიც არის ფრინველის დარწყულება, მისთვის საკვების მიცემა, კვერცხის შეგროვება და ნაკელის გატანა სპეციალური ტრანსპორტიორის საშუალებით სრულდება.

მექანიზებული საფრინველე მნიშვნელოვნად გაადიდებს პროდუქციის წარმოებას, აამაღლებს მეფრინველის შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს დანახარჯებს.

ანტიკური სკულპტურები სკოლაში

ქალაქ ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა საქართველოს ამ მცირერიცხოვან სკოლათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმები აქვთ. სპეციალურად გამოყოფილ დარბაზში წარმოდგენილია 1.600 ნაგები. უძველესი ბიზანტიური, კოლხური და სლავური მონეტები, უძველესი იარაღები ბრინჯაოსა და ლითონისაგან, კერამიკული ნაკეთობები, ანტიკური სკულპტურები.

სურათებზე: ზემოთ — მე-7 კლასის მოსწავლე ნ. ბაბტურიძე პედაგოგ ლ. კაპანაძის საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობის დროს ნაპოვნ ბრინჯაოს უზანგს აჩვენებს, რომელიც სპეციალისტების აზრით ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეს განეკუთვნება; ქვემოთ — სასკოლო მუზეუმის ერთ-ერთ სტენდზე დემონსტრირებულია უძველესი იარაღები.

ა. მაჭუპარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

უკანასკნელ კაიკამდე

ჩვენ კარგახანია არ გვინახავს ისეთი უკომპრომისო თამაში, როგორსაც ამ ტურნირში შული გვიჩვენებს. მას შემდეგ, რაც პირველი და მეორე ტურის პარტიები ყაიმით დამთავრა, ლვოველმა მოჭადრაკემ თითქოს შეიძულა ასეთი შედეგი. ამ დროიდან მოყოლებული შული თამაშობს „უკანასკნელ კაიკამდე“ და თუ სამ შეხვედრაში მარცხი განიცადა, გაცილებით მეტი მოიგო და ცხადად გვიჩვენა, რომ არ აპირებს შეელიოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებას. ხომ-ადვილი წარმოსადგენია, რამდენჯერ მიუახლოვდა ამ ხნის განმავლობაში შული სხვადასხვა პოზიციებში საყაიმო შედეგს, და რამდენჯერაც მიუახლოვდა, იმდენჯერვე საოცარი შეუპოვრობით დაშორდა.

მეთხუთმეტე ტურში შულმა მოროზოვასთან ისეთ პოზიციაში ჭადაო პარტია, რომ მისი მორიგი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

მაყურებლებმა მარტო სატურნირო დარბაზი როდი „დაიპყრეს“, არამედ ჭადრაკის სასახლის ყველა ვრცელი დერეფანიც. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს ჩვენი ჩინებული ჭადრაკის სასახლე ამ ერთი საღამოს განმავლობაში როგორღაც შეუმჩნევლად „დაპატარავდა“. ეს ტურნირის ცენტრალური შეხვედრის, კოზლოვსკაია-გაფრინდაშვილის პარტიის გამო მოხდა.

უკვე თავიანი მეორე სვლით კოზლოვსკაიამ გვიჩვენა, რომ არ დაუშვებდა გაფრინდაშვილის მიერ ბრძოლის დებიუტშივე გამწვავებას. ისე რომ „ინდური აყალმაყალის“ ნაცვლად დაფაზე გრუნფელდის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი წარმოიშვა, სადაც შავებისათვის ძნელია ინიციატივის დაუფლება. მსოფლიო ჩემპიონი ბევრს ეცადა მეტოქე დაებნია, მაგრამ კოზლოვსკაია ძალიან ფრთხილობდა და ეროზიციას ყოველნაირად „კეტავდა“. ამ მეტისმეტ სიფრთხილეში კოზლოვსკაიას მსჯელობიდან გამორჩა ტაქტიკური დარტყმა, რომლის შედეგად იგი ზედმეტი პაიკით რჩებოდა. ნონამ განაბორკიელა ლაზიერისა და პაიკის შეწირვა ორ ეტლში. ამ ოპერაციის შედეგად მსოფლიო ჩემპიონის ეტლები თეთრების განლაგებაში შეიჭრნენ და კოზლოვსკაიას მეტად ზუსტი თამაში რომ არა, ერთ ალიაქოთს ატეხდნენ. შავების 39-ე სვლის შემდეგ დაფაზე ისეთი პოზიცია წარმოიქმნა, რომ საყაიმო შედეგი გარდუვალი გახდა. ისე რომ გაფრინდაშვილისა და კოზლოვსკაიას დავა დასკვნითი ტურებისათვის გადაიდო. თუმცა ახლა ამ დავაში შული და მედიანიკოვაც ჩაერევნენ.

ამ ოთხმა მოჭადრაკემ რაღაც თავისებური „უმაღლესი ლიგა“ წარმოქმნა. დანარჩენ მონაწილეებს ისინი ახლოს არ იკარებენ.

სტერნინამ, რომელიც აქამდე უღიმღამოდ თამაშობდა, ახლა უკვე ზელიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად მულენკოსთან. კისლოვამ სძლია ზეორიკინს, ალიოხინამ — ზატულოვსკაიას. თუ ვინმემ დაყარა აშკარად ფარხმალი, ეს ახლა უპირველეს ყოვლისა ზატულოვსკაიაზე თქმაა. ამ გამოჩენილ ოსტატს, არც მეტი, არც ნაკლები, უკანასკნელი ადგილი ემუქრება. თქმა არ უნდა, უმაგალითო შემთხვევაა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის უმდიდრეს სატურნირო პრაქტიკაში.

როგორც ყოველთვის, ფათერაკებით იყო სავსე ჩიბურდანიძის პარტია. იგი თეთრებით საბჭოთა კავშირის ხელგაზნის ჩემპიონ ბორისენკოს ეთამაშებოდა. დასაწყისში ჩიბურდანიძეს კარგი პოზიცია ჰქონდა. შემდეგში მან ზედმეტად ოპტიმისტურად მიიღო ბორისენკოს მიერ შეწირული მხედრი. როდესაც ტაშკენტელი მოჭადრაკის ლაზიერმა და ეტლმა თეთრების ბანაკში შეინავარდეს, გულშემატკივრებს პირდაპირ სუნთქვა შეეკრათ. არა, „დინაელთა“ საჩუქრის მიღება არ შეიძლებოდა. უმძიმეს სიტუაციაში მაიამ მრავალი ვარიანტიდან სუკეთესო აირჩია, მაგრამ ისიც არ იხსნიდა, მეტოქეს „დახმარების ხელი“ რომ არ გაეწოდებინა. ახლა გადადებულ პოზიციაში წინანდელი „კომშარიდან“ შეიძლება მხოლოდ „უსიამოვნო მოგონება“ დარჩა. ჩიბურდანიძის ეტლებმა „მოქმედების თავისუფლება“ მიიღეს და შეხვედრა, იტყობა, ყაიმით დამთავრდება. ასე ფიქრობს მაიას პარტნიორის მეუღლე, ცნობილი ოსტატი და მწვრთნელი გიორგი ბორისენკო.

გუშინ მეთექვსმეტე ტურში გაფრინდაშვილმა პაიკი მოუგო ჩრჩიბინის ეტლები თეთრების განლაგებაში შეიჭრნენ და კოზლოვსკაიას მეტად ზუსტი თამაში რომ არა, ერთ ალიაქოთს ატეხდნენ. შავების 39-ე სვლის შემდეგ დაფაზე ისეთი პოზიცია წარმოიქმნა, რომ საყაიმო შედეგი გარდუვალი გახდა. ისე რომ გაფრინდაშვილისა და კოზლოვსკაიას დავა დასკვნითი ტურებისათვის გადაიდო. თუმცა ახლა ამ დავაში შული და მედიანიკოვაც ჩაერევნენ.

ამ ოთხმა მოჭადრაკემ რაღაც თავისებური „უმაღლესი ლიგა“ წარმოქმნა. დანარჩენ მონაწილეებს ისინი ახლოს არ იკარებენ.

სტერნინამ, რომელიც აქამდე უღიმღამოდ თამაშობდა, ახლა უკვე ზელიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად მულენკოსთან. კისლოვამ სძლია ზეორიკინს, ალიოხინამ — ზატულოვსკაიას. თუ ვინმემ დაყარა აშკარად ფარხმალი, ეს ახლა უპირველეს ყოველისა ზატულოვსკაიაზე თქმაა. ამ გამოჩენილ ოსტატს, არც მეტი, არც ნაკლები, უკანასკნელი ადგილი ემუქრება. თქმა არ უნდა, უმაგალითო შემთხვევაა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის უმდიდრეს სატურნირო პრაქტიკაში.

როგორც ყოველთვის, ფათერაკებით იყო სავსე ჩიბურდანიძის პარტია. იგი თეთრებით საბჭოთა კავშირის ხელგაზნის ჩემპიონ ბორისენკოს ეთამაშებოდა. დასაწყისში ჩიბურდანიძეს კარგი პოზიცია ჰქონდა. შემდეგში მან ზედმეტად ოპტიმისტურად მიიღო ბორისენკოს მიერ შეწირული მხედრი. როდესაც ტაშკენტელი მოჭადრაკის ლაზიერმა და ეტლმა თეთრების ბანაკში შეინავარდეს, გულშემატკივრებს პირდაპირ სუნთქვა შეეკრათ. არა, „დინაელთა“ საჩუქრის მიღება არ შეიძლებოდა. უმძიმეს სიტუაციაში მაიამ მრავალი ვარიანტიდან სუკეთესო აირჩია, მაგრამ ისიც არ იხსნიდა, მეტოქეს „დახმარების ხელი“ რომ არ გაეწოდებინა. ახლა გადადებულ პოზიციაში წინანდელი „კომშარიდან“ შეიძლება მხოლოდ „უსიამოვნო მოგონება“ დარჩა. ჩიბურდანიძის ეტლებმა „მოქმედების თავისუფლება“ მიიღეს და შეხვედრა, იტყობა, ყაიმით დამთავრდება. ასე ფიქრობს მაიას პარტნიორის მეუღლე, ცნობილი ოსტატი და მწვრთნელი გიორგი ბორისენკო.

გუშინ მეთექვსმეტე ტურში გაფრინდაშვილმა პაიკი მოუგო ჩრჩიბინის ეტლები თეთრების განლაგებაში შეიჭრნენ და კოზლოვსკაიას მეტად ზუსტი თამაში რომ არა, ერთ ალიაქოთს ატეხდნენ. შავების 39-ე სვლის შემდეგ დაფაზე ისეთი პოზიცია წარმოიქმნა, რომ საყაიმო შედეგი გარდუვალი გახდა. ისე რომ გაფრინდაშვილისა და კოზლოვსკაიას დავა დასკვნითი ტურებისათვის გადაიდო. თუმცა ახლა ამ დავაში შული და მედიანიკოვაც ჩაერევნენ.

ამ ოთხმა მოჭადრაკემ რაღაც თავისებური „უმაღლესი ლიგა“ წარმოქმნა. დანარჩენ მონაწილეებს ისინი ახლოს არ იკარებენ.

სტერნინამ, რომელიც აქამდე უღიმღამოდ თამაშობდა, ახლა უკვე ზელიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად მულენკოსთან. კისლოვამ სძლია ზეორიკინს, ალიოხინამ — ზატულოვსკაიას. თუ ვინმემ დაყარა აშკარად ფარხმალი, ეს ახლა უპირველეს ყოველისა ზატულოვსკაიაზე თქმაა. ამ გამოჩენილ ოსტატს, არც მეტი, არც ნაკლები, უკანასკნელი ადგილი ემუქრება. თქმა არ უნდა, უმაგალითო შემთხვევაა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის უმდიდრეს სატურნირო პრაქტიკაში.

ტურნირის მონაწილენი

მარტა შული, საერთაშორისო ოსტატი.

ბიჭი ჩოსელი — თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გაათავისუფლა ა. პ. კოტრიკაძე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან.

კოლეგიამ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში კავი დიმიტრის-ძე ჩოხელი.

ფეხბურთი

წილისყრა ფრანკფურტში

მოსკოლიოს მომავალი მეათე ფეხბურთის ჩემპიონატის მასპინძლები — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები მაინის ფრანკფურტში მოწყობილი წილისყრის თანახმად ითამაშებენ ფინალური ტურნირის პირველ ჯგუფში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავსტრიოლის გუნდებთან ერთად. ამ ჯგუფშია ჩილეს ნაკრებიც, რომელიც ფინალისტების რიცხვში მოხვდა ფიფას გარკვეული წრეების ბინძური მაქინაციების შედეგად, რისთვისაც მის პრეზიდენტს ს. როუზს ჩილეს სისხლიანი ხუნტის მეთაურმა პინოჩეტმა მადლობის დეპეშა გაუგზავნა. გამომბარეა კი სრულიად სხვა ხასიათისაა — პროტესტები, გულისწყრომა სსრ კავშირის ნაკრების უსამართლო გრიცხვისაგან უკვე მოდის მრავალი ქვეყნიდან...

მეორე ფინალურ ჯგუფში შვიდნენ მსოფლიო ჩემპიონები — ბრაზილიის ფეხბურთელები, ზაირისა და შოტლანდიის გუნდები. ამ ჯგუფში გამოვა იგივე ეუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის დამატებით მატჩში გამარჯვებული. ეს მატჩი დანიშნულია მაინის ფრანკფურტში 13 თებერვალს.

მესამე ჯგუფი შეადგინეს ურუგვაის, ჰოლანდიის, ბულგარეთისა და შვეიცის გუნდებმა, მეოთხე — იტალიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და საიტის გუნდებმა.

წილისყრის შედეგები ანალიზისა და პროგნოზებისათვის ცოტა საზრდოს ორი იძლევა. მაგრამ უკვე დღეს სპეციალისტები ყურადღებას მიაპყრობენ ფავორიტების — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდებისათვის ხელსაყრელი მეტოქეების „შერჩევას“. თუმცა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰ. რიდელმა განაცხადა, რომ მას სრულებითაც არ აწუხებს ევროპის ჩემპიონების „მეზობლობა“.

ბევრის აზრით, ძნელია უპირატესობა მიენიჭოს მესამე ჯგუფის რომელიმე მონაწილეს. რაც შეეხება ბოლო „ქვარტეტს“, პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა კ. გორსკიმ, მაგალითად, კმაყოფილება გამოთქვა მისი შემადგენლობით. (საკლესის კორ.).

ფიფას სამარცხვინო გადაწყვეტილება

პარიზი, 7 იანვარი. (საკლესი). სამარცხვინო და მიკერძოებული გადაწყვეტილება უწოდა ყოველკვირეულმა „ლუმანიტე-დიმანშმა“ იმ ფაქტს, რომ 1974 წლის ფეხბურთის მსოფლიო პირველობის ფინალისტად ჩარიცხეს ჩილეს გუნდი და გამორიცხეს საბჭოთა კავშირის ნაკრები.

ყველამ კარგად იცის, აღნიშნავს ყოველკვირეული, თუ რატომ თქვეს უარი საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩილეში თამაშზე, სადაც სტადიონები გადაქცეულია საკონცენტრაციო ბანაკებად. საბჭოთა მოთამაშეები მზად იყვნენ ჩილეს ნაკრებთან შესახვედრად ნებისმიერ ტერიტორიაზე, მხოლოდ არა იქ, სადაც ეპატიჟრებენ, სოფიავენ, აწამებენ. ეს თვალსაზრისი, საზგასმით აღნიშნავს „ლუმანიტე-დიმანშინ“, გაიზიარა მსოფლიოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ, მაგრამ ფიფას რეკომენდაციამ ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ჩილეს ხუნტას, სამარცხვინოდ ამოფფარა ფიფას ფორმალური წესებსა და პოლიტიკის ფარდას.

ამისთვისაც ბევრს ეცადნენ ხუნტელი როუზი და მსგავსნი მისნი. ჩილეს ნაკრებს კენჭი უყარა მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის დამსწრეთ 18 წევრთაგან მხოლოდ 13-მა. ამ საორგანიზაციო კომიტეტში კი 26 წევრია. ამგვარად, ფიფას ხელმძღვანელობამ ვერ მიიღო უმრავლესობა, რაც მეტად საგულისხმოა.

დასასრულ ყოველკვირეული აღნიშნავს: ჩილეს გუნდის ფინალში დაშვება კვლავ ადასტურებს, რომ მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელობა ანგლო-საქსთა პრიორიტეტიდან ჩრეზა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სამუდამოდ ვერ გაგრძელდება.

ტურნირი ინგლისში

ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში მიმდინარეობს ტრადიციული საახალწლო ტურნირი. მეათე ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა დამარცხა ინგლისელი ჰარტსტონი. ამავე ტურში პირველი დამარცხება იგვიანა სტარტიდან გათამაშების ლიდერმა ჰოლანდიელმა ტომანმა ინგლისელ კინთან.

ათი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ ვოროშილოვგრადელი გროსმაისტერი გენადი კუზმინი (ერთი გადადებული პარტია), მიხეილ ტალი და იან ტომანი.

რამდენიმე სტრიქონით

□ **ლენინგრადში** დამთავრდა ჰოკეისტთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უკანასკნელ ტურში დამარცხა კანადის ნაკრები ანგარიშით 9:0 და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორეზე გავიდნენ ფინელი სპორტსმენები, მესამე იყო კანადის გუნდი. მომდევნო ადგილები დაიკავეს შვეიცის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა.

□ **ევროპის** ჩემპიონთა თასზე ფრენბურთში მოსკოვის არმიელთა გუნდმა ბელგრადში პირველ მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ადგილობრივი „პარტიზანი“.

ტელევიზია

8 იანვარი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „შესვენებამდე 0:1“ (VII სერია, პრემიერა), 11.15 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა „არიციასა და მისი მეგობრების თავგადასავალი“, 11.45 — ფერადი ტელევიზია „ეკონომიკურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (III სერია), 18.05 — მოსწავლეთათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 19.15 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლენი“ (V სერია), 19.40 — „დღეს უკეთესად — ვიდრე გუშინ“, 20.05 — „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „სპორტული მიმოხილვა“, 21.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბალზაკის დიდი სიყვარული“ (IV სერია, პრემიერა) პოლონეთისა და საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი „ახალი გრამფირფიტები“. 23.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“, (VII სერია), 20.15 — კონცერტი, 21.10 — დოკუმენტური ფილმი „ცვლა“.

რადიო

9 იანვარი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მეერის საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. არენსკი. მუსიკა პუშკინის პოემისათვის „ბახჩისარაის შადრევანი“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პოეტი მიკროფონთან“, 12.10 — ახალგაზრდობისათვის. საუბარი „როგორ მოვიპოვეთ წარმატება“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 —გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 13.40 — ს. ბუკია. სიმღერები და რომანსები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — რ. ლაღიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, 18.45 — მეერის მ. ქასრაშვილი, 19.00 — საუბარი „ლენინი განვითარებული სოციალ